სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

იანვარი №1

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო-სალაროდ და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman**: professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki 'respublika~
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Corespondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-49

instruqcia / **Instuctions** ----------50-55

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- ----56

gilocavT
axal
2018 wels!

gadasaxadebi #1, 2018

GADASAKHADEBI #1, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-8 მუხლის:

ა) მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) პირი წერილობითი/ელექტრონული განცხადებით უარს აცხადებს საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე.“;

ბ) მე-12 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იურიდიული პირის აქციონერზე/მოწილეზე განხორციელებული გადახდა ამავე იურიდიული პირის აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით, გარდა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის გადაცემისა.“;

გ) მე-13 ნაწილი ამოღებულ იქნეს;

დ) 45-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 46-ე ნაწილი:

„46. საგადასახადო წელი – კალენდარული წელი.“.

2. 26-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1. სპეციალური სავაჭრო ზონის (შემდგომ – სსზ) სტატუსი საკუთარი ინიციატივით შეიძლება მიენიჭოს იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოში ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზებას ეწევა.“;

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პირი სსზ-ის სტატუსის მიღების შემთხვევაში სსზ-ის სტატუსის მიღების მომდევნო წლის 1 იანვრიდან ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სსზ-ის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისთვის განკუთვნილი საქონლის მოძრაობის აღრიცხვა;

ბ) ამ კოდექსის 133[1] მუხლის შესაბამისად გადაიხადოს სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის დამქირავებელი გადასახადის გადამხდელის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი/მოგების გადასახადი სსზ-ის ტერიტორიაზე საქმიანობის ნაწილში;

გ) სსზ-ში განახორციელოს თითოეული საქონლის დამცავი საშუალებით ნიშანდება და სსზ-ში რეალიზებულ საქონელზე მომხმარებელთან ანგარიშსწორება უზრუნველყოს ცენტრალიზებულად მართული სალარო პუნქტების მეშვეობით.“;

გ) მე-8 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

3. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 26[2] მუხლი:

„მუხლი 26[2]. ბაზრობის ორგანიზება

1. პირი, რომელიც საქართველოში ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ბაზრობის ორგანიზებისა) ეწევა, ვალდებულია საგადასახადო ორგანოს მიმართოს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ პირს მინიჭებული აქვს ამ კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებული სსზ-ის სტატუსი.

2. ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზება არის პირის ან/და პირთა ჯგუფის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემა.

3. ბაზრობა არის მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განლაგებულია სტაციონარული სავაჭრო ობიექტები და არასტაციონარული სავაჭრო ადგილები ან მხოლოდ არასტაციონარული სავაჭრო ადგილები (არანაკლებ 10 არასტაციონარული სავაჭრო ადგილისა), რომლებიც საქონლის სარეალიზაციოდაა განკუთვნილი.

4. არასტაციონარული სავაჭრო ადგილი (დროებითი შენობა-ნაგებობა) არის ანაკრები ელემენტებისგან შედგენილი ასაწყობ-დასაშლელი ან/და მობილური სამშენებლო სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და რომელსაც არ აქვს მიწისქვეშა სათავსები, აგრეთვე ამ მიზნით გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია:

ა) საგადასახადო ორგანოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით წარუდგინოს ინფორმაცია ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ;

ბ) სავაჭრო ობიექტი ან/და სავაჭრო ადგილი იჯარით გასცეს მხოლოდ იმ პირზე, რომელიც მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრშია რეგისტრირებული;

გ) ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილი უზრუნველყოს საკონტროლო-სალარო აპარატით.

6. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე საგადასახადო ორგანო ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის მოიჯარე ფიზიკურ პირს ანიჭებს ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსს.

7. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების რეესტრს აწარმოებს საგადასახადო ორგანო.

8. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი იბეგრება 3%-ით, გამოქვითვების გარეშე. ამ შემთხვევაში გადასახადის დეკლარირება და გადახდა ხორციელდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

9. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ამ პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

10. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირი:

ა) ვალდებულია საქონლის მიწოდებისას გამოიყენოს საკონტროლო-სალარო აპარატი;

ბ) უფლებამოსილია უარი თქვას ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემოსავლის დაბეგვრის რეჟიმის გამოყენებაზე, რის შესახებაც მან განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრისა. ამ შემთხვევაში აღნიშნული პირის შემოსავალი დაიბეგრება ამ კოდექსის 79-ე–81-ე და 82-ე მუხლების შესაბამისად.

11. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, პირს, რომელიც საქართველოში ბაზრობის ორგანიზებას ეწევა, საკუთარი ინიციატივით მიანიჭოს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

12. ბაზრობის ფუნქციონირებისა და ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის ამ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“.

4. 34-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^2 ნაწილი:

„6^2. საქართველოს რეზიდენტობა, გარდა ამ მუხლის მე-2, მე-6 და 6^1 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკურ პირს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით.“.

5. 82-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200 000 ლარს არ აღემატება;“;

ბ) „ჟ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$უ^1$ “–„$უ^3$“ ქვეპუნქტები:

„$უ^1$) რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი;

$უ^2$) რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;

$უ^3$) რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი;“;

დ) „ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ც) 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200 000 ლარს არ აღემატება;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) „ჰ[4]“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა: ამ ნაწილის „უ[1]“–„უ[3]“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ სასესხო/წილობრივი ფასიანი ქაღალდი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებამდეა სავაჭროდ დაშვებული ორგანიზებულ ბაზარზე. ამასთანავე, აღნიშნული შეღავათი მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული ბაზრის აღიარების თარიღიდან.“.

6. 97-ე მუხლის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობა მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) პირისათვის, რომელიც მოგებას იღებს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე, ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად, ამ მოგების ნაწილში;

ბ) „საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილისათვის, ამ პროექტის ფარგლებში მიღებული მოგების ნაწილში;

გ) „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთკავკასიური მილსადენის სისტემის საშუალებით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ“ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამხრეთკავკასიური მილსადენის პროექტის მონაწილისათვის, ამ პროექტის ფარგლებში მიღებული მოგების ნაწილში.“.

7. 98[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საწარმოს პარტნიორზე განხორციელებული გადახდა ამავე საწარმოს აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით, გარდა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის გადაცემისა;“.

8. 99-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ვ) 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტებით;“;

ბ) „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ[1]“–„მ[3]“ ქვეპუნქტები:

„მ[1]) არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;

მ[2]) არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;

მ[3]) არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზებისგზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;“;

დ) „ყ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა: ამ ნაწილის „მ[1]“–„მ[3]“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ სასესხო/წილობრივი ფასიანი ქაღალდი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებამდეა სავაჭროდ დაშვებული ორგანიზებულ ბაზარზე. ამასთანავე, აღნიშნული შეღავათი მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული ბაზრის აღიარების თარიღიდან.“.

9. მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და მის წევრთა (მეპაიეთა) შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება ან/და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა;“.

10. 103-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]“ ქვეპუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ბ[1]) „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სავალდებულო დაზღვევის ცენტრის მიერ მზღვეველისგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში დაუზღვეველი ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ საშუალებით მიყენებული ზიანის ისეთი ანაზღაურება, რომელიც დამდგარი ზიანის ოდენობას არ აღემატება;“.

11. 130-ე მუხლის:

ა) 4[1] ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4[1]. 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისაგან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.“;

ბ) მე-5 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

12. 131-ე მუხლის მე-6 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

13. 168-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის:

ა.ა) „კ“–„ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო (ფარმაცევტული) მიზნებისათვის განკუთვნილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე და 29-ე ჯგუფებით გათვალისწინებული ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;

კ[1]) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;

ლ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2844 კოდში აღნიშნული რადიოფარმპრეპარატების, რომლებიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერაა რეგისტრირებული, 8419 20 000 00, 9001 30 000 00, 9001 40 და 9001 50 კოდებში, 9018–9022 კოდებში (გარდა 9022 29 000 00 კოდისა), 9025 11 200 00 და 9402 90 000 00 კოდებში მითითებული საქონლის, 8713 და 8714 20 000 00 კოდებში აღნიშნული ეტლებისა და მათი ნაწილების და საკუთნოების, სამედიცინო დანიშნულების რენტგენის ფირების, სამედიცინო დანიშნულების სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, გლუკომეტრების (რომელთა ტესტ-სისტემები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერაა რეგისტრირებული), აგრეთვე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული, 9619 00 000 00 კოდში მითითებული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;";

ა.ბ) „ო" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4901, 4902 და 4904 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის (ჟურნალების, გაზეთების, ნოტების) მიწოდება (მათ შორის, ელექტრონული ფორმით) ან/და იმპორტი, აგრეთვე ელექტრონული მატარებლების (დისკების) საშუალებით სალექციო კურსების მიწოდება, რომლებიც საგანმანათლებლო ხასიათისაა და შეიძლება წიგნის ფორმითაც გამოიცეს;";

ბ) მე-2 ნაწილის „კ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4901, 4902 და 4904 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის (ჟურნალების, გაზეთების, ნოტების) რეალიზაციის მომსახურების, ბეჭდვის მომსახურების ან/და ჟურნალ-გაზეთების მიერ სარეკლამო მომსახურების გაწევა;";

გ) მე-4 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჭ" ქვეპუნქტი:

„ჭ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4901 და 4903 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის (წიგნის) მიწოდება ან/და იმპორტი, აგრეთვე ამ საქონლის რეალიზაციისა და ბეჭდვის მომსახურებების გაწევა.".

14. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 181^1 მუხლი:

„მუხლი 181^1. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნება

1. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელს უფლება აქვს, დაიბრუნოს საქართველოში საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა) შეძენისას ან/და მომსახურების შეძენისას ან საქართველოში საქონლის იმპორტირებისას გადახდილი დღგ-ის თანხა, თუ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) პირი საქართველოში ეკონომიკურ საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით არ ახორციელებს ან მისი საქმიანობის ადგილი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში არ არის;

ბ) პირის მიერ საქართველოში შეძენილი საქონელი/მომსახურება ან იმპორტირებული საქონელი დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში გამოიყენება;

გ) მსგავსი ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, ამ კოდექსის შესაბამისად, უფლებამოსილი იქნებოდა, ჩაეთვალა გადახდილი დღგ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელი ვალდებულია დანიშნოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც ამ მუხლით გათვალისწინებული დღგ-ის თანხის დაბრუნების ფარგლებში ეკისრება გადასახადის გადამხდელისათვის ამ კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებები.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი და პირობები, აგრეთვე კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს უფლებამოსილი წარმომადგენელი, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“.

15. 188-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აქციზის განაკვეთები აქციზურ საქონელზე (გარდა ალკოჰოლიანი სასმელებისა)“;

ბ) პირველი ნაწილის ცხრილის:

ბ.ა) პირველი და მე-2 გრაფები ამოღებულ იქნეს;

ბ.ბ) შენიშვნის მე-2 ნაწილი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-5–მე-7 ნაწილები ამოღებულ იქნეს.

16. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 188^1 მუხლი:

„მუხლი 188^1. აქციზის განაკვეთები ალკოჰოლიან სასმელებზე

1. ამ ნაწილით გათვალისწინებული ალკოჰოლიანი სასმელები იბეგრება აქციზის შემდეგი განაკვეთებით:

	საქონლის დასახელება/აღწერილობა	ზომის ერთეული	განაკვეთი
1	ლუდი	1 ლიტრი/1%Vol	0.12
2	სხვა დადუღებული სასმელი 5%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობით	1 ლიტრი	5
3	სხვა დადუღებული სასმელი 5% ან 5%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობით	1 ლიტრი	0.6
4	შუალედური ალკოჰოლიანი სასმელი	1 ლიტრი	5

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5	სასმელი ეთილის სპირტის მაღალი კონცენტრაციით (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2208 20, 2208 60, 2208 90 330 00, 2208 90 380 00, 2208 90 480 00 და 2208 90 710 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლისა)	1 ლიტრი სუფთა სპირტი	22.5
6	საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2207 კოდით გათვალისწინებული საქონელი	1 ლიტრი სუფთა სპირტი	7.5
7	საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2208 20, 2208 60, 2208 90 330 00, 2208 90 380 00 00, 2208 90 480 00 და 2208 90 710 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი	1 ლიტრი სუფთა სპირტი	15

შენიშვნა: ამ ცხრილში მითითებული:

ა) „ლუდი“ მოიცავს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2203 კოდში მითითებულ საქონელს, აგრეთვე 2206 00 590 01 და 2206 00 890 01 კოდებით გათვალისწინებულ საქონელს (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2206 კოდში აღნიშნული ერთი ან ერთზე მეტი უალკოჰოლო სასმელისა და ლუდის ნაზავს), რომლებშიც ალკოჰოლის შემცველობა 0.5%-ს აღემატება;

ბ) „სხვა დადუღებული სასმელი“ მოიცავს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2205 და 2206 კოდებში მითითებულ საქონელს (გარდა ლუდისა და ღვინისა):

ბ.ა) რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1.2%-ს და არ აღემატება 10%-ს;

ბ.ბ) რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 10%-ს და არ აღემატება 15%-ს, იმ პირობით, რომ პროდუქტში არსებული ალკოჰოლი მთლიანად დადუღების გზითაა მიღებული;

გ) „შუალედური ალკოჰოლიანი სასმელი“ მოიცავს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2205 და 2206 კოდებში მითითებულ საქონელს (გარდა ლუდისა, ღვინისა და სხვა დადუღებული სასმელებისა), რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1.2%-ს და არ აღემატება 22%-ს;

დ) „სასმელი ეთილის სპირტის მაღალი კონცენტრაციით“ მოიცავს:

დ.ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2208 კოდში მითითებულ საქონელს, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა 1.2%-ს აღემატება;

დ.ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2205 და 2206 კოდებში მითითებულ საქონელს, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა 22%-ს აღემატება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ღვინო მოიცავს ყურძნის გამოყენებით წარმოებულ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2204 და 2205 კოდებში მითითებულ საქონელს, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1.2%-ს და არ აღემატება 18%-ს, იმ პირობით, რომ საბოლოო პროდუქტში არსებული ალკოჰოლი მთლიანად დადუღების გზით და დანამატების გარეშეა მიღებული.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის პირველი გრაფით გათვალისწინებულ საქონელზე გადასახდელი აქციზის თანხა შეადგენს შესაბამისი აქციზის განაკვეთის, საქონლის მოცულობის რაოდენობრივი მაჩვენებლის და აღნიშნულ საქონელში ალკოჰოლის შემცველობის პროცენტული მაჩვენებლის ნამრავლს.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის მე-2–მე-4 გრაფებით გათვალისწინებულ საქონელზე გადასახდელი აქციზის თანხა შეადგენს შესაბამისი აქციზის განაკვეთისა და აღნიშნული საქონლის მოცულობის რაოდენობრივი მაჩვენებლის ნამრავლს.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის მე-5–მე-7 გრაფებით გათვალისწინებულ საქონელზე გადასახდელი აქციზის თანხა შეადგენს შესაბამისი აქციზის განაკვეთისა და აღნიშნულ საქონელში სუფთა სპირტის მოცულობის რაოდენობრივი მაჩვენებლის ნამრავლს.“.

17. 191-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“, „დ[1]“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქციზის გადამხდელი;“.

18. 192-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აქციზით დასაბეგრი ალკოჰოლიანი სასმელი;“;

ბ) მე-2 ნაწილის:

ბ.ა) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) იმპორტირებული 4 ლიტრამდე ალკოჰოლიანი სასმელი – საფოსტო გზავნილის შემთხვევაში;“;

ბ.ბ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

„ზ[1]) მგზავრის მიერ იმპორტირებული ალკოჰოლიანი სასმელი – ამ კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ[2]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

19. 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მგზავრის მიერ 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმის ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული 50 მლ საქონლის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი;“;

ბ) „ბ[1]“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[2]“ ქვეპუნქტი:

„ბ2) მგზავრის მიერ ჯამურად 1 ლიტრი 22% და 22%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის ან 80% და 80%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის არადენატურირებული ეთილის სპირტის ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, აგრეთვე 16 ლიტრი ლუდის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი;“;

გ) „ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები:

„მ) ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებლად გამოყენებული ალკოჰოლიანი სასმელი (სითხე);

ნ) ალკოჰოლიანი სასმელი, გამოყენებული სასმელის დასამზადებლად, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა 1.2%-ს არ აღემატება.“;

დ) შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„შენიშვნა:

1. თუ ალკოჰოლიანი სასმელის ან/და თამბაქოს ნაწარმის ან/და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული საქონლის ოდენობა აღემატება ამ ნაწილის „ბ“, „ბ¹“ ან „ბ²“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობას, ამ მუხლით გათვალისწინებული აქციზისაგან გათავისუფლება გამოიყენება საქონლის ზემოაღნიშნული ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

2. ამ ნაწილის „ბ“–„ბ²“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლება ფიზიკურ პირს 18 წლის ასაკიდან წარმოეშობა.

3. ამ ნაწილის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტირებისას/წარმოებისას გადაიხდევინება აქციზი, ხოლო აქციზის დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში ამ საქონლის იმპორტიორისაგან/მწარმოებლისაგან შემძენი პირი უფლებამოსილია დაიბრუნოს ან/და მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში ჩაითვალოს აქციზის გადახდილი თანხა.

4. ამ ნაწილის „ბ“ და „ბ²“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის ჩაითვლება, რომ საქონელი ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი, თუ მისი იმპორტი ერთჯერადია და იგი განკუთვნილია მგზავრის პირადი ან მისი ოჯახის წევრების მიერ მოხმარებისთვის ან/და ჩუქებისთვის. ამასთანავე, საქონლის იმპორტი ერთჯერადია, თუ ადგილი აქვს საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში 1 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში ამ საქონლის იმპორტის არაუმეტეს 1 შემთხვევას.“.

20. 199-ე მუხლის:

ა) „დ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.გ) მგზავრის მიერ 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმის ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული 50 მლ საქონლის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „დ.გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ.გ[1]“ ქვეპუნქტი:

„დ.გ[1]) მგზავრის მიერ ჯამურად 1 ლიტრი 22% და 22%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის ან 80% და 80%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის არადენატურირებული ეთილის სპირტის ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან 4 ლიტრი ღვინის და 16 ლიტრი ლუდის იმპორტი, რომლებიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომლებიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი;“;

გ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) 2023 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნედლეულის იმპორტი;“;

დ) შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. ამ მუხლის „დ.გ“ და „დ.გ[1]“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის ჩაითვლება, რომ საქონელი ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი, თუ მისი იმპორტი ერთჯერადია და იგი განკუთვნილია მგზავრის პირადი ან მისი ოჯახის წევრების მიერ მოხმარებისთვის ან/და ჩუქებისთვის. ამასთანავე, საქონლის იმპორტი ერთჯერადია, თუ ადგილი აქვს საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში 1 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში ამ საქონლის იმპორტის არაუმეტეს 1 შემთხვევას.“.

21. 202-ე მუხლის მე-6 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირისათვის:

ე.ა) ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის 15%;

ე.ბ) დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება ამ ნაწილის „ე.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემოსავალს.“.

22. 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჯ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯ[1]) 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (გარდა მიწისა) და ამავე საქმიანობისათვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

23. 224-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 224. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი

1. საგადასახადო ორგანო ამ მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს ანიჭებს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსს.

2. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი ითვალისწინებს:

ა) ავტორიზაციას საქონლის გაფორმების პროცედურების გასამარტივებლად;

ბ) ავტორიზაციას დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების საფუძველზე საბაჟო კონტროლის გასამარტივებლად.

3. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შეიძლება ერთდროულად ფლობდეს ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ავტორიზაციას და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ავტორიზაციას.

4. თუ პირს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის გამარტივებით სარგებლობის უფლებას ითხოვს, აქვს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი და ასრულებს აღნიშნულ გამარტივებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, საგადასახადო ორგანომ მას უნდა მისცეს ამ გამარტივებით სარგებლობის უფლება. ამასთანავე, საგადასახადო ორგანომ არ უნდა გადაამოწმოს ის კრიტერიუმები, რომლებიც ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭებისას შემოწმდა.

5. საბაჟო კონტროლის დროს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი სხვა გადასახადის გადამხდელთან შედარებით ხელშემწყობი პირობებით სარგებლობს, რაც ასევე გულისხმობს მისი დოკუმენტებისა და მონაცემების შემოწმების და საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და ტერიტორიის დათვალიერების ნაკლები სიხშირით განხორციელებას.

6. საგადასახადო ორგანო ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსთან დაკავშირებული გამარტივებული პროცედურებით სარგებლობის უფლებას ანიჭებს უცხო ქვეყანაში დაფუძნებულ პირს, რომელიც ასრულებს აღნიშნული ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და პირობებს, რომლებიც საქართველოს მიერ აღიარებულია საქართველოში ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორისათვის დადგენილი ვალდებულებებისა და პირობების ეკვივალენტურად. აღნიშნული უფლების მინიჭება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნაცვალგების პრინციპს, თუ იმავე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს გადასახადის გადამხდელს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) მას არ დაურღვევია საქართველოს საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონმდებლობები და არ ჩაუდენია ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაული;

ბ) მას აქვს კომერციული აღრიცხვის და, საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო აღრიცხვის მართვის ისეთი სისტემა, რომელიც შესაბამისი საბაჟო კონტროლის განხორციელებას უზრუნველყოფს;

გ) იგი გადახდისუნარიანი და ფინანსურად მდგრადია;

დ) მას განხორციელებული აქვს საქონლის გაფორმების პროცედურები ან/და იგი/მის მიერ დაქირავებული პირი აკმაყოფილებს პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნებს – მხოლოდ ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის შემთხვევაში;

ე) იგი უზრუნველყოფს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სტანდარტების შესრულებას – მხოლოდ ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის შემთხვევაში.

8. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის ფლობასთან დაკავშირებული გამარტივებული პროცედურები არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით საბაჟო კონტროლის განსაკუთრებული პირობებია დადგენილი.

9. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების პირობები, შესაბამისი ავტორიზაციით სარგებლობის წესი, აგრეთვე იმ საქონლის ნუსხა, რომელზედაც არ ვრცელდება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის ფლობასთან დაკავშირებული გამარტივებული პროცედურები, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“.

24. 281-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა – იწვევს გადასახადის გადამხდელის (გარდა ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილის დამქირავებელი ფიზიკური პირისა) დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.“.

25. 285-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

26. 289-ე მუხლის მე-3 ნაწილის შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„შენიშვნა:

1. პირს არ დაეკისრება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, თუ იდენტიფიკაციის საშუალებაზე ან/და ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე ანდა ნიშანდებულ ბარგზე/ხელბარგზე მცირე დაზიანება შეინიშნება, მაგრამ ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაში ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში ანდა ნიშანდებულ ბარგში/ხელბარგში შეღწევა შეუძლებელია.

2. პირს არ დაეკისრება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, თუ კონტეინერი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საზღვაო ტრანსპორტით იქნა შემოტანილი.“.

27. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 290^2 მუხლი:

„მუხლი 290^2. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა

1. ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილის გამოვლენა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი საკონტროლო-სალარო აპარატით, – იწვევს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით თითოეული ისეთი არასტაციონარული სავაჭრო ადგილისათვის, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი საკონტროლო-სალარო აპარატით.

2. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემა იმ პირზე, რომელიც მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული არ არის, – იწვევს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

3. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის დამქირავებელი პირების შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა ან/და არასწორი/არასრული ინფორმაციის წარდგენა – იწვევს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.“.

28. 309-ე მუხლის:

ა) მე-10 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 ნაწილი:

„10^1. ნამუშევარი ნავთობპროდუქტებისათვის (ლიალური წყლისათვის (ნავთობით დაბინძურებული წყლისათვის) ან/და ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების ნარეცხისათვის) არ გამოიყენება გადამუშავების სასაქონლო ოპერაციები (გარდა შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისა) გადამუშავებული საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის პირობით.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-15 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. 2020 წლის 1 იანვრამდე საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად ამ კოდექსის შესაბამისად.“;

გ) 24-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„24. 2023 წლის 1 იანვრამდე ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ 55.2 კოდით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ, მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას, საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის შემთხვევაში იბეგრება ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით, თუ იგი ნებაყოფლობით არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად ან ამ საქმიანობის ნაწილში ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული ოპერაციების საერთო თანხა 100 000 ლარს არ აღემატება.“;

დ) 42-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„42. პირი, რომელიც ბაზრობის ორგანიზებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ორგანიზებისა) 2018 წლის 1 იანვრამდე ეწეოდა, ვალდებულია:

ა) არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისისა მიმართოს საგადასახადო ორგანოს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით;

ბ) არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისისა უზრუნველყოს საგადასახადო ორგანოსთვის ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებულ სავაჭრო ობიექტზე ან/და სავაჭრო ადგილზე მოვაჭრე ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაციის წარდგენა;

გ) არაუგვიანეს 2019 წლის 1 იანვრისა უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილების 1/3 საკონტროლო-სალარო აპარატებით;

დ) არაუგვიანეს 2019 წლის 1 ივლისისა უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილების 2/3 საკონტროლო-სალარო აპარატებით;

ე) არაუგვიანეს 2020 წლის 1 იანვრისა სრულად უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილები საკონტროლო-სალარო აპარატებით.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) 92-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 92^1 ნაწილი:

„92^1. არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიერ 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების განაწილება მოგების გადასახადით არ იბეგრება.“;

ვ) 93-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 93^1 და 93^2 ნაწილები:

„93^1. ამ კოდექსის 98^2 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს უფლება აქვს, 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების დივიდენდის განაწილებამდე ამ მუხლის 92-ე ნაწილის შესაბამისად ჩაითვალოს დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადი.

93^2.პირის მიერ ამ მუხლის 93^1 ნაწილით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში:

ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების დივიდენდის განაწილებისას ამ მუხლის 92-ე ნაწილით გათვალისწინებული ჩათვლა მცირდება ამავე მუხლის 93^1 ნაწილის შესაბამისად ჩათვლილი მოგების გადასახადის ოდენობით;

ბ) კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) მიწოდების შედეგად ანაზღაურების მიღებისას (თანხის ფაქტობრივად მიღებისას) პირს უფლება აქვს, თანხის ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში ჩაითვალოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადი, მაგრამ არაუმეტეს ანაზღაურებული თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადისა.“;

ზ) 99-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„99. ამ კოდექსის 98^1 მუხლის მიზნებისთვის:

ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირისგან მიღებული დივიდენდის განაწილება მოგების განაწილებად არ ითვლება;

ბ) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის განაწილება, აგრეთვე 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის 2019 წლის 1 იანვრამდე განაწილება მოგების განაწილებად ითვლება.“.

მუხლი 2. 2018 წლის 1 იანვრამდე ვაჭრობის ორგანიზების განმახორციელებელი პირისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლის საფუძველზე მინიჭებული სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი გაუქმებულად ითვლება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი–მე-5 და მე-7–27-ე ნაწილებისა და 28-ე ნაწილის „ა“–„დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა და მე-2 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კოდექსის 26^2 მუხლის სათაური, პირველი–მე-5, მე-11 და მე-12 ნაწილები და ამ კანონის პირველი მუხლის მე-4, მე-5, მე-7–მე-16, მე-18–მე-20, 22-ე, 23-ე და 25-ე–27-ე ნაწილები და 28-ე ნაწილის „ა“–„დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები და მე-2 მუხლი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-17 ნაწილი ამოქმედდეს 2018 წლის 2 იანვრიდან.

4. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კოდექსის 26^2 მუხლის მე-6–მე-10 ნაწილები და ამ კანონის პირველი მუხლის 21-ე და 24-ე ნაწილები ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

5. ამ კანონის პირველი მუხლის მე-6 ნაწილისა და 28-ე ნაწილის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 23 დეკემბერი 2017 წ.

N1935-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, 06.11.2009, მუხ. 191) მე-20 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 23 დეკემბერი 2017 წ.

N1941-**რს**

საქართველოს კანონი

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13(20), 1999 წელი, მუხ. 49) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ნავთობის გადამუშავება – უწყვეტი საწარმოო ციკლით ნედლი ნავთობის გადამუშავება ნავთობპროდუქტების მიღების მიზნით, აგრეთვე შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული:

გ.ა) ნავთობპროდუქტების შერევა (კომპაუნდირება) მიღებული პროდუქციის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის მიზნით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ.ბ) ნამუშევარი ნავთობპროდუქტების (ლიალური წყლის (ნავთობით დაბინძურებული წყლის) ან/და ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების ნარეცხის) (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისას მიღებულისა) გადამუშავება მიღებული პროდუქციის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის მიზნით;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 23 დეკემბერი 2017 წ.

N1936-**რს**

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1, 15.01.2009, მუხ. 2) მე-10 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) განსაზღვრავს ფულადი ჯილდოს ოდენობას, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – ერთჯერადი დახმარების ოდენობას;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 22 დეკემბერი 2017 წ.

N1831-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994–1995, №№27–30, მუხ. 575) 5^3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5^3. ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტები

ნებართვის მაძიებელმა ამ კანონის 5^1 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის ნებართვის მისაღებად ნებართვის გამცემ ორგანოს, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, დამატებით უნდა წარუდგინოს:

ა) ნებართვის მაძიებლის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (საშუალებების) (გარდა უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებისა (საშუალებებისა)) ფლობისა და პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) შესაბამისი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ასლი;

გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული დოკუმენტები – ამ კანონის 5^1 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის, დამატებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 23 დეკემბერი 2017 წ.

N1914-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 25.05.2012, სარეგისტრაციო კოდი: 240110000.05.001.016708) 96-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიების, სერტიფიკაციის ორგანოების (გარდა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისა), ინსპექტირების ორგანოების (მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირის) აკრედიტაციას როგორც საქართველოში, ისე მისი ფარგლების გარეთ, დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 23 დეკემბერი 2017 წ.

N1915-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №7, 09.03.2010, მუხ. 25) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;“.

2. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. სამსახურის თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობა

სამსახურის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში სამსახურის უფროსი უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) არაუმეტეს 10 სამუშაო დღის თანამდებობრივი სარგოს დაკავება;

დ) სამსახურიდან გათავისუფლება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 22 დეკემბერი 2017 წ.

N1830-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.06.2015, სარეგისტრაციო კოდი: 240140000.05.001.017771) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ბიზნესომბუდსმენის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა დგინდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტით.“.

2. მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:„ბ) ამტკიცებს აპარატის საშტატო ნუსხას და შრომის ანაზღაურების ოდენობებს „საჯარო

დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 22 დეკემბერი 2017 წ.

N1828-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 31 მაისი, 1997, გვ. 15) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ“ ქვეპუნქტი:

„ქ) საზედამხედველო საფასური – მზღვეველის მიერ გამომუშავებული ბრუტო-პრემიის ან/და მაგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში მზღვეველის კუთვნილი შემოსავლის ამ კანონის 19^1 მუხლით განსაზღვრული ოდენობა.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^2 მუხლი:

„მუხლი 9^2. შიდა აუდიტი

1. მზღვეველის საქმიანობა ექვემდებარება შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარებას ამ მუხლით დადგენილი წესით და განსაზღვრული პირობებით.

2. შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარების ძირითადი მიზანია მზღვეველის მიმდინარე საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და მართებულობის შემოწმება, მისი ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება, სამართლებრივი აქტების, შიდა პროცედურების/წესების დაცვის კონტროლი და მართვის შიდა სისტემების შეფასება.

3. შიდა აუდიტის ფუნქციას ასრულებს შიდა აუდიტორი ან სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სტრუქტურული ერთეული – შიდა აუდიტის სამსახური.

4. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს/თანამშრომელს/შიდა აუდიტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭო ხმათა უმრავლესობით.

5. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსად/თანამშრომლად/შიდა აუდიტორად არ შეიძლება დაინიშნოს პირი:

ა) რომელიც ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის;

ბ) რომელიც ნასამართლევია ეკონომიკური დანაშაულისთვის;

გ) რომელიც არის მზღვეველის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის/ადმინისტრატორის ისეთი ახლო ნათესავი, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პირველი ან მეორე რიგის კანონით მემკვიდრეა, ან რომელსაც მათთან საქმიანი/კომერციული ინტერესები აკავშირებს;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) რომელსაც არ აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის – კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრების შესახებ;

ე) რომელიც არის ამავე მზღვეველის/სხვა მზღვეველის მმართველი ორგანოს წევრი/ადმინისტრატორი ან სხვა თანამშრომელი.

6. მზღვეველი ვალდებულია სამსახურს წინასწარ წარუდგინოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია შიდა აუდიტის სამსახურის უფროსად/თანამშრომლად/შიდა აუდიტორად დასანიშნი პირის იმავე პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად.

7. მზღვეველი ვალდებულია შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის/შიდა აუდიტორის მიერ თანამდებობის დატოვების ან მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სამსახურს შესაბამისი მიზეზის მითითებით.

8. შიდა აუდიტის სამსახური/შიდა აუდიტორი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. დაუშვებელია მისი უფლებამოსილებებისთვის მიკუთვნებული საკითხების მზღვეველის სხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის და სხვა მესამე პირებისთვის განსახილველად გადაცემა.

9. მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭო შიდა აუდიტის ფუნქციის სრულყოფილად შესრულების უზრუნველსაყოფად ვალდებულია შეიმუშაოს აუცილებელი შიდა დოკუმენტები შიდა აუდიტის პოლიტიკის, შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარების წესისა და პროცედურების შესახებ.

10. მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია ყოველწლიურად დაამტკიცოს შიდა აუდიტის წლიური პროგრამა/კვარტალური პროგრამა. იგი უნდა შეიცავდეს სულ მცირე:

ა) საქმიანობის იმ სფეროების ჩამონათვალს, რომლებშიც აუდიტორული შემოწმება უნდა ჩატარდეს;

ბ) აუდიტორული შემოწმების შინაარსის აღწერას საქმიანობის იმ სფეროებისთვის, რომლებშიც აუდიტორული შემოწმება უნდა ჩატარდეს.

11. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი/შიდა აუდიტორი სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს შიდა აუდიტორული შემოწმების შემდეგ ანგარიშებს:

ა) გეგმურ ანგარიშს შიდა აუდიტის წლიური პროგრამით/კვარტალური პროგრამით განსაზღვრული შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) არაგეგმურ ანგარიშს, თუ, მისი დასაბუთებული მოსაზრებით, შემოწმების შედეგად არსებითი დარღვევებია გამოვლენილი. ამასთანავე, არაგეგმური ანგარიში მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭოს უნდა წარედგინოს დარღვევების გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია არაგეგმური ანგარიშის წარდგენიდან უმოკლეს დროში უზრუნველყოს მისი განხილვა.

12. შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:

ა) შიდა აუდიტორული შემოწმების აღწერას;

ბ) შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებსა და უზუსტობებს და მათ აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ ღონისძიებებს/შემუშავებულ რეკომენდაციებს;

გ) საქმიანობის იმ სფეროს/მიმართულების ხელმძღვანელის პოზიციას და სავარაუდო სამოქმედო გეგმას, რომელშიც შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად დარღვევები და უზუსტობები გამოვლინდა;

დ) დასკვნას შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და უზუსტობების აღმოფხვრის შესახებ.

13. შიდა აუდიტის სამსახური/შიდა აუდიტორი გასცემს დასკვნებს და წარადგენს წინადადებებს შიდა აუდიტის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით მზღვეველის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასმულ არაგეგმურ საკითხებზე, აგრეთვე თავისი ინიციატივით დასმულ საკითხებზე.

14. სამსახური უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს, ხოლო მზღვეველი ვალდებულია მას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში (ანგარიშები).

15. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი/თანამშრომელი/შიდა აუდიტორი მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს ობიექტურად და მიუკერძოებლად უნდა ასრულებდეს.

16. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი/თანამშრომელი/შიდა აუდიტორი მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, ჩამოართვას ახსნა-განმარტებები მზღვეველის თანამშრომლებსა და ადმინისტრატორებს, აგრეთვე სრულად მიუწვდებოდეს ხელი კომპიუტერულ ფაილებზე (მათში ცვლილების შეტანის უფლების გარეშე). ამასთანავე, იგი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარებისას გახდა ცნობილი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

17. მზღვეველი ვალდებულია უზრუნველყოს შიდა აუდიტის ფუნქციის შეუფერხებლად შესრულება და ამ მიზნით შიდა აუდიტის სამსახურს/შიდა აუდიტორს შეუქმნას მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი ყველა პირობა.

18. მზღვეველის მმართველი ორგანოები ვალდებული არიან, განსაზღვრონ შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და უზუსტობების აღმოფხვრის ღონისძიებები და უზრუნველყონ მათი განხორციელება.“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 19^1–19^3 მუხლები:

„მუხლი 19^1. საზედამხედველო საფასურის განაკვეთი

საზედამხედველო საფასურის ოდენობა განისაზღვრება კალენდარული წლის განმავლობაში მზღვეველის მიერ გამომუშავებული ბრუტო-პრემიის ან/და მაგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში მზღვეველის კუთვნილი შემოსავლის ოდენობიდან. საზედამხედველო საფასურის განაკვეთია:

ა) მზღვეველის მიერ წლიურად გამომუშავებული ბრუტო-პრემიის 1 პროცენტი;

ბ) მაგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში მზღვეველის მიერ მიღებული კუთვნილი წლიური შემოსავლის 1 პროცენტი.

მუხლი 19^2. საზედამხედველო საფასურის გადახდის წესი

1. მზღვეველი ვალდებულია მიმდინარე საზედამხედველო საფასური გადაიხადოს შემდეგ ვადებში, წინა კალენდარული წლის საზედამხედველო საფასურის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

ა) არაუგვიანეს 10 იანვრისა – 25 პროცენტი;

ბ) არაუგვიანეს 10 აპრილისა – 25 პროცენტი;

გ) არაუგვიანეს 10 ივლისისა – 25 პროცენტი;

დ) არაუგვიანეს 10 ოქტომბრისა – 25 პროცენტი.

2. მიმდინარე საზედამხედველო საფასურის გადასახდელად ჩარიცხული თანხები მზღვეველს კალენდარული წლის მიხედვით გადასახდელ საზედამხედველო საფასურში ჩაეთვლება.

მუხლი 19^3. სამსახურის დაფინანსების წყაროები და ბიუჯეტი

1. სამსახურის დაფინანსების წყაროებია:

ა) საზედამხედველო საფასური;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) გრანტები ან/და ქველმოქმედებიდან მიღებული შემოწირულებები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. მზღვეველის მიერ საზედამხედველო საფასურის გადახდის მიზანია, სამსახურმა ეფექტიანად განავითაროს დაზღვევის სფერო, დაიცვას მზღვეველის, დამზღვევისა და მომხმარებლის ინტერესები, აგრეთვე დაფაროს სამსახურის ხარჯები.

3. საზედამხედველო საფასური ირიცხება ცალკე ანგარიშზე, სამსახურის სარგებლობისათვის, რომელსაც მისი მიზნობრივად გამოყენების სრული უფლებამოსილება აქვს.

4. სამსახურის მიერ მიმდინარე წელს გამოუყენებელი სახსრები გადადის მომდევნო წლის ანგარიშში და გაითვალისწინება სამსახურის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

5. სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამზადებს სამსახურის მომავალი წლის ბიუჯეტს, რომელშიც აისახება სამსახურის ყველა ხარჯი და მათი დაფარვის წყარო.“.

4. 28-ე მუხლის 5^2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5^2. სამსახური მზღვეველს დასაბუთებულ უარს ეუბნება ამ მუხლის მე-5 და 5^1 პუნქტებით გათვალისწინებული წერილობით წარდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში. დასაბუთებული უარის ამ ვადაში მიუღებლობის შემთხვევაში თანხმობა გაცემულად ჩაითვლება.“.

მუხლი 2

1. ამ კანონის ამოქმედებამდე ლიცენზირებულმა მზღვეველებმა ამავე კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 9^2 მუხლით შიდა აუდიტის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნები დააკმაყოფილონ 2018 წლის 1 მარტიდან.

2. 2018 წელს საზედამხედველო საფასურის გადახდის მიზნებისათვის საზედამხედველო საფასურის ოდენობაა 2017 წლის განმავლობაში მზღვეველის მიერ წლიურად გამომუშავებული ბრუტო-პრემიის 1 პროცენტი ან/და მაგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში მიღებული მზღვეველის კუთვნილი წლიური შემოსავლის 1 პროცენტი.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი, 22 დეკემბერი 2017 წ.

N1821-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №486

2017 წლის 29 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით (ვებგვერდი, 17/07/2012, სარეგისტრაციო კოდი 190040000.22.033.016392) დამტკიცებულ „საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)“-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და IV კარის 22-ე ჯგუფის („ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი“) 2205 და 2206 სასაქონლო პოზიციები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

2205	**ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები , მცენარეული ანარომატული ექსტ რაქტების დამატებით :**	
2205 10	– 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში :	
2205 10 100 00	– – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .% ან ნაკლები	ლ
2205 10 90	– – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .%-ზე მეტი :	
2205 10 900 02	– – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს 22მოც .%-სა	ლ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2205 10 900 09	– – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 22 მოც .%-ზე მეტი	ლ
2205 90	– დანარჩენი :	
2205 90 100 00	– – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .% ან ნაკლები	ლ
2205 90 90	– – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .%-ზე მეტი :	
2205 90 900 02	– – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს 22მოც .%-სა	ლ
2205 90 900 09	– – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 22 მოც .%-ზე მეტი	ლ
2206 00	**სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად სიდრი , პერი (მსხლის სიდრი),თაფლის სასმელი); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებულისასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები , სხვა ადგილასდაუსახელებელი ან ჩაუთვლელი :**	
2206 00 10	– სახარჯო ღვინო (პიკეტი):	
2206 00 100 02	– – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 1.2 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს 5მოც .%-სა	ლ
2206 00 100 03	– – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 5 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს 18მოც .%-სა	ლ
2206 00 100 04	– – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს 22მოც .%-სა	ლ
2206 00 100 09	– – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 22 მოც .%-ზე მეტი	ლ
	– დანარჩენი :	
	– – ცქრიალა :	
2206 00 31	– – – სიდრი და პერი :	
2206 00 310 02	– – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 1.2 მოც .%-ე მეტი მაგრამ არაუმეტეს 5მოც .%-სა	ლ
2206 00 310 03	– – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 5 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს 18 მოც .%-სა	ლ
2206 00 310 04	– – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .%- მეტი მაგრამ არაუმეტეს22 მოც .%-სა	ლ
2206 00 310 09	– – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 22 მოც .%-ზე მეტი	ლ
2206 00 39	– – – დანარჩენი :	
2206 00 390 02	– – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 1.2 მოც .%-ე მეტი მაგრამ არაუმეტეს 5მოც .%-სა	ლ
2206 00 390 03	– – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 5 მოც .%-ე მეტი მაგრამ არაუმეტეს 18მოც .%-სა	ლ
2206 00 390 04	– – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .%-ე მეტი მაგრამ არაუმეტეს22 მოც .%-სა	ლ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2206 00 390 09	– – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 22 მოც .%-ზე მეტი	ლ
	– – არაცქრიალა , ჭურჭელში ტევადობით :	
	– – – 2 ლ ან ნაკლები :	
2206 00 51	– – – – სიდრი და პერი :	
2206 00 510 02	– – – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 1.2 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს5 მოც .%-სა	ლ
2206 00 510 03	– – – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 5 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს18 მოც .%-სა	ლ
2206 00 510 04	– – – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს22 მოც .%-სა	ლ
2206 00 510 09	– – – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 22 მოც .%-ზე მეტი	ლ
2206 00 59	– – – – დანარჩენი :	
2206 00 590 01	– – – – – ერთი ან მეტი უალკოჰოლო სასმელის ლუდთან ნაზავი სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 0.5მოც .%-ზე მეტი	ლ
2206 00 590 02	– – – – – დანარჩენი სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 1.2მოც .%-ზე მეტი მაგრამარაუმეტეს 5მოც .%-სა	ლ
2206 00 590 03	– – – – – დანარჩენი სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 5მოც .%-ზე მეტი მაგრამარაუმეტეს 18მოც .%-სა	ლ
2206 00 590 04	– – – – – დანარჩენი სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18მოც .%-ზე მეტი მაგრამარაუმეტეს 22მოც .%-სა	ლ
2206 00 590 09	– – – – – დანარჩენი სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 22მოც .%-ზე მეტი	ლ
	– – – 2 ლ -ზე მეტი :	
2206 00 81	– – – – სიდრი და პერი :	
2206 00 810 02	– – – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 1.2 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს5მოც .%-სა	ლ
2206 00 810 03	– – – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 5 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს18მოც .%-სა	ლ
2206 00 810 04	– – – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .%-ზე მეტი მაგრამ არაუმეტეს22მოც .%-სა	ლ
2206 00 810 09	– – – – – სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 22 მოც .%-ზე მეტი	ლ
2206 00 89	– – – – დანარჩენი :	
2206 00 890 01	– – – – – ერთი ან მეტი უალკოჰოლო სასმელის ლუდთან ნაზავი სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 0.5მოც .%-ზე მეტი	ლ
2206 00 890 02	– – – – – დანარჩენი სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 1.2მოც .%-ზე მეტი მაგრამარაუმეტეს 5მოც .%-სა	ლ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2206 00 890 03	– – – – – დანარჩენი სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 5 მოც .%-ზე მეტი მაგრამარაუმეტეს 18მოც .%-სა	ლ
2206 00 890 04	– – – – – დანარჩენი სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 18 მოც .%-ზე მეტი მაგრამარაუმეტეს 22მოც .%-სა	ლ
2206 00 890 09	– – – – – დანარჩენი სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 22მოც .%-ზე მეტი	ლ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №491

2017 წლის 29 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართი №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის განმკარგველის – 1390 – „ა(ა)იპ – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1391	5031	ა(ა)იპ „კასპის კეთილმოწყობა“
1392	5032	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №490

2017 წლის 29 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. **მე-4 მუხლის მე- 4 პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ზ“ ქვეპუნქტი**:

„ა.ზ) არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების შემთხვევაში – წინასწარი შეტყობინება „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №567 დადგენილებით დამტკიცებული „საერთო შესვლის დოკუმენტის“ ფორმით, ხოლო აფლატოქსინით დაბინძურების (კონტამინაციის) რისკის შემცველი არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების შემთხვევაში – აგრეთვე:

ა.ზ.ა) ტვირთის წარმოშობის ან გამომგზავნი ქვეყნის კომპეტენტური უწყების მიერ შევსებული და დამოწმებული – ჯანმრთელობის სერტიფიკატი საქართველოში იმპორტისათვის“;

ა.ზ.ბ) ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ლაბორატორიული კვლევის ოქმი;“.

2. **23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჩ^{1}“ ქვეპუნქტი**:

„ჩ^{1}) არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების იმპორტის შემთხვევაში – „საერთო შესვლის დოკუმენტი“, „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №567 დადგენილებით დამტკიცებული ფორმით;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ[1]“ ქვეპუნქტი:

„დ[1]) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ სეს ესნ-ის 8704 21 310 00 და 8704 22 910 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში შემავალი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №488

2017 წლის 29 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/12/2014, სარეგისტრაციო კოდი 200250000.22.033.016708) დამტკიცებულ „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე- 2 მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ა[1]“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

ა[1]) პირველადი დოკუმენტი – ოპერაციის მოხდენის ფაქტის დამადასტურებელი ბუღალტრული აღრიცხვის პირველადი დოკუმენტი;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) წინასწარი გადახდა – ანგარიშსწორება ოპერაციის მოხდენამდე;

ე) წინასწარი გადახდის დამოწმება - წინასწარ გადახდილი სახსრებით განხორციელებული ოპერაციის დადასტურება დარიცხვით.“.

2. მე-3 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 3. **საბიუჯეტო სახსრების გადახდის პროცედურები**

1. ორგანიზაცია შესაბამისი ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების დასაფინანსებლად სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ახორციელებს შემდეგ პროცედურებს, თუ ამ ინსტრუქციით ან მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული:

ა) განათავსებს ინფორმაციას გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ;

ბ) არეგისტრირებს ვალდებულების დოკუმენტს;

გ) განათავსებს პირველად დოკუმენტს;

დ) აღიარებს ოპერაციას (სტანდარტული/წინასწარი გადახდის) დარიცხვით;

ე) არეგისტრირებს საგადახდო მოთხოვნას.

2. სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ორგანიზაციის მიერ შეტანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ორგანიზაციას.“.

3. მე-5 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს „2^1“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2^1. ვადაგადაცილებული დავალიანებების დაფარვის შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებლებაში მიუთითებს დავალიანების თაობაზე.“;

ბ) მე- 5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსახორციელებელ საკონტროლო და სხვა შესყიდვების ნაღდი ანგარიშსწორებისთვის, ინტერნეტით განსახორციელებელ შესყიდვებზე, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალის გასაზრდელად, წარმომადგენლობით ხარჯებზე, ექსტრადიციისა და ბადრაგირების, ძალოვანი სტრუქტურებისათვის როტაციის წესით საზღვარგარეთ მივლინებულ თანამშრომელთა გამგზავრებისა და მოწყობის ხარჯებისათვის, ასევე სხვა გადახდებზე, რომელიც ამ ინსტრუქციით არ რეგულირდება, ვალდებულების აღება შესაძლებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. მე-6 მუხლის:

ა) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) სახელმწიფო ერთეულების მიზეზით ფიზიკური ტრამვირებისა თუ ქონებრივი ზარალის ასანაზღაურებლად, აგრეთვე დაღუპვის შემთხვევაში გადასახდელი ფულადი კომპენსაციები;“;

ბ) „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ან მიღებული ტრავმების ფულადი კომპენსირების მიზნით განსახორციელებელი გადახდები;“;

გ) „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) კანონმდებლობით დადგენილი პერიოდული გასაცემლები: “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, პარტიების საქმიანობისათვის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ პარტიებისთვის/საარჩევნო სუბიექტებისთვის დადგენილი დაფინანსებება;“;

დ) „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთა, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს წევრთა ბიუროს და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები;“;

ე) „ჟ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. მე - 7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ვალდებულების დოკუმენტის განხილვა და დადასტურება

1. ორგანიზაცია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სიტემაში არეგისტრირებს ამ ინსტრუქციის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად შედგენილ ვალდებულების დოკუმენტს.

2. სახელმწიფო ხაზინა განიხილავს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ ინსტრუქციის მოთხოვნებთან შესაბამისობას და ადასტურებს ხაზინის საინფორმაციო ბაზაში. არასრულყოფილი დოკუმენტაცია უბრუნდება ორგანიზაციას.

3. დადასტურებული ვალდებულების გადატანა სხვა მუხლში, ასევე ერთი ვალდებულებით გაცემული სახსრების სხვა ვალდებულების დასაფინანსებლად გამოყენება დაუშვებელია.

4. ორგანიზაცია უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს დადასტურებული ვალდებულება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. ორგანიზაცია უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილება დადასტურებულ კვარტალურ განაცხადში.“.

6. **მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს 7[1] მუხლი შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 7[1]. პირველადი დოკუმენტი და ოპერაციის აღიარება

1. ორგანიზაცია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სიტემაში პირველად დოკუმენტს არეგისტრირებს ხელშეკრულების საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. ორგანიზაცია, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სიტემაში წარადგენს ინფორმაციას საქონლის/მომსახურების/სამუშაოს შესყიდვის მიზნით განსახორციელებელ გადახდებზე, გარდა გრიფით „საიდუმლო“, კვარტალური განაცხადის ფორმით რეგისტრირებული ვალდებულებების შესაბამისი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის და საწესდებო კაპიტალის ფორმირების/გაზრდის მიზნით განსახორციელებელი გადახდებისა.

3. საქონლის/მომსახურების/სამუშაოს შესყიდვის მიზნით განსახორციელებელ გადახდებზე ინფორმაციის წარსადგენად ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ივსება შემდეგი რეკვიზიტები:

ა) საქონლის/მომსახურების/სამუშაოს დასახელების შესაბამისი სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში განთავსებული შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის CPV-კოდების იერარქიული კატეგორია;

ბ) საქონლის/მომსახურების/სამუშაოს დასახელების შესაბამისი CPV-კოდის კატეგორიის/ქვეკატეგორიის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია არჩეულ იქნეს უფრო ზედა იერარქიული კატეგორია, რის შესახებაც მიეთითება „შენიშვნის“ ველში;

გ) სამშენებლო/სარემონტო სამუშაოს შესყიდვისას, შესაძლებელია არჩეულ იქნეს სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების (მანქანა-დანადგარების) შესაბამისი CPV-კოდის სხვა კატეგორია, რის შესახებაც მიეთითება „შენიშვნის“ ველში;

დ) რაოდენობა (თუ შეუძლებელია საქონლის/მომსახურების/სამუშაოს ფიზიკური ზომის ერთეულის განსაზღვრა, ზომის ერთეულად ეთითება „0“);

ე) ერთეულის ფასი;

ვ) თანხა ლარებსა და თეთრებში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ)სამშენებლო/სარემონტო სამუშაოს შესყიდვისას, საქონლის/მომსახურების/სამუშაოს დასახელების შესაბამისი CPV-კოდის კატეგორიის/ქვეკატეგორიის არარსებობის შემთხვევაში, ზედა იერარქიული კატეგორიის ან სხვა კატეგორიის CPV-კოდის დამატება მოხდეს „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვების ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის“, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის და სამეურნეო ოპერაციის ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. ორგანიზაცია მივლინების ხარჯებზე განსახორციელებელ გადახდებზე (გარდა გრიფით „საიდუმლო“) წარადგენს ინფორმაციას მივლინების ხარჯებზე განსახორციელებელ გადახდებზე. ინფორმაციის წარსადგენად, ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ივსება შემდეგი რეკვიზიტები:

ა) მივლინების იდენტიფიკაციის სისტემაში არსებული კოდი;

ბ) სამართლებრივი აქტის დასახელება, ნომერი და თარიღი;

გ) მივლინებული პირი;

დ) მივლინების ადგილი (ქვეყანა, ქალაქი);

ე) მივლინების ხანგრძლივობა;

ვ) ხარჯის ტიპი შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ვ.ა) მგზავრობის ხარჯი;

ვ.ბ) საცხოვრებელი ადგილის ხარჯი;

ვ.გ) დღიური ნორმის ხარჯი;

ვ.დ) მივლინების დროს წარმომადგენლობითი ხარჯი;

ვ.ე) მივლინებული მოსამსახურის სავალდებულო დაზღვევის ხარჯი;

ვ.ვ) პასპორტის ღირებულება;

ვ.ზ) სხვა დოკუმენტების, მ.შ. ვიზის ხარჯი;

ვ.თ) მივლინებასთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი ხარჯი;

ვ.ი) კანონმდებლობით დადგენილ პირებზე მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ) თანხა ლარში თითოეული კატეგორიის მიხედვით.

5. მივლინების ხარჯების წინასწარი გადახდის შემთხვევაში ივსება ხარჯის თითოეული ტიპის სავარაუდო მოცულობა, (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად განხორციელებული გადახდებისა).

6. მივლინების ხარჯებზე განსახორციელებელ გადახდებზე ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო ხაზინას, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, სახაზინო სამსახურის უფროსის თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია წარედგინოს ჯამურად მთლიან ჯგუფზე, დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით ერთი და იმავე მიზნით და ერთი და იმავე დანიშნულების ადგილზე მოსამსახურეთა მივლინებისას.

7. მივლინების ხარჯებზე ინფორმაცია არ წარედგინება სამშვიდობო და სხვა სახის ოპერაციებში მონაწილეთა გრძელვადიანი მივლინების შემთხვევაში, ასევე ორგანიზაციის დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნაზე სახაზინო სამსახურის უფროსის თანხმობის შემთხვევაში, მოსამსახურეთა ჯგუფური ან/და ცალკეულ მოსამსახურეთა სისტემატური ხასიათის მივლინებების დროს.

8. ორგანიზაცია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სიტემაში სისტემაში განათავსებს მატერიალური ფორმით არსებული პირველადი დოკუმენტის ელექტრონულ ვერსიას (გარდა საიდუმლო დოკუმენტაციისა).

9. სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში განთავსებული ბუღალტრული ოპერაციების ცნობარიდან ირჩევს შესაბამის ოპერაციას.

10. ორგანიზაცია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სიტემაში აღიარებს ოპერაციას დარიცხვით.

11. ორგანიზაცია უფლებამოსილია სისტემაში განათავსოს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის დანართი ფორმების ელექტრონული ვერსია.

12. სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში მონაცემთა დაზუსტების მიზნით შესაძლებელია პირველადი დოკუმენტებისა და ოპერაციების აღიარების ცვლილება ან/და დაზუსტება.“.

7. მე-8 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 8. **საგადახდო მოთხოვნის დოკუმენტის მომზადება**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. ორგანიზაცია საგადახდო მოთხოვნას (დანართი №4) ადგენს ოპერაციის მოხდენის შემდეგ (გარდა წინასწარი გადახდებისა), სადაც მიეთითება ოპერაციის მოხდენის დამადასტურებელი დოკუმენტი და მოთხოვნილი თანხა რეგისტრირებული ვალდებულების და დარიცხვის ფარგლებში.

2. ერთ ვალდებულებაზე და ერთ დარიცხულ ოპერაციაზე შეიძლება შედგეს რამდენიმე საგადახდო მოთხოვნა.

3. ჩანაცვლებით შესყიდვის შემთხვევაში მიეთითება „ჩანაცვლება“.“.

8. მე-9 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 9. **წინასწარი გადახდა**

1. წინასწარი გადახდის შემთხვევაში ანაზღაურების ფორმად მიეთითება „წინასწარი გადახდა” და წინასწარი გადახდის დამოწმების ვადა ხელშეკრულების ან/და შესაბამისი საბანკო გარანტიის მოქმედების ფარგლებში.

2. წინასწარი გადახდის დამოწმება ხორციელდება საგადახდო მოთხოვნით გათვალისწინებულ ვადაში, საგადახდო მოთხოვნით განსაზღვრული თანხის ფარგლებში. ერთ მოთხოვნაზე შეიძლება შედგეს რამდენიმე დამოწმება.

3. ორგანიზაცია ვალდებულია, მივლინების დასრულებიდან 65 კალენდარული დღის ვადაში, განახორციელოს მივლინების ხარჯის ტიპებზე გაწერილი სავარაუდო მოცულობების დაზუსტება (თუკი ფაქტობრივი მონაცემები განსხვავდება წინასწარ შევსებული ინფორმაციისაგან) და მივლინების ხარჯების დამოწმება. მივლინების ხარჯის ტიპების დადგენილ ვადაში დაუმოწმებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო ხაზინა ორგანიზაციას შეუჩერებს ახალი ვალდებულების/განაცხადის რეგისტრაციას, გარდა შრომის ანაზღაურებისა და სოციალური დანიშნულების გადახდებისა. 65 დღის ვადაში მივლინების ხარჯის ტიპების დაუმოწმებლობის შემთხვევაში ახალი ვალდებულების რეგისტრაცია შესაძლებელია სახელმწიფო ხაზინის უფროსის გადაწყვეტილებით. სხვა, დანარჩენი დანიშნულების გადახდების დაუმოწმებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო ხაზინა შეაჩერებს იმავე კლასიფიკაციის მუხლით ახალი ვალდებულების აღებას. “.

9. მე-10 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 10. **სახელმწიფო ხაზინის მიერ საგადახდო მოთხოვნის განხილვა და დადასტურება**

1. ორგანიზაცია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სიტემაში არეგისტრირებს საგადახდო მოთხოვნას, რომელსაც სახაზინო სამსახური ადასტურებს აღებული ვალდებულების და დარიცხული ოპერაციის ფარგლებში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. არასრულად ან/და არასწორად შევსებული საგადახდო მოთხოვნა უბრუნდება ორგანიზაციას.

3. სავალუტო ოპერაციის განსახორციელებლად ორგანიზაციამ კონვერტაციის მოთხოვნა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში უნდა წარადგინოს ოპერაციის წინა სამუშაო დღეს. ლარის კონვერტაცია უცხოურ ვალუტაში და სავალუტო გადარიცხვა სრულდება შემდეგი წესით: ორგანიზაცია, საოპერაციო დღის განმავლობაში, სახელმწიფო ხაზინას წარუდგენს კონვერტაციის საგადახდო მოთხოვნას წარდგენის დღის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 17:00 სთ-ზე, მომდევნო დღის ოფიციალურ გაცვლით კურსის დადგენის შემდეგ, სახელმწიფო ხაზინა გადაიანგარიშებს ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ კონვერტაციის საგადახდო მოთხოვნაში ლარში დაფიქსირებულ თანხას. შედეგად, თუ კონვერტაციის საგადახდო მოთხოვნაში დაფიქსირებული ლარის თანხა შესაბამისი ვალდებულების ან შესაბამისი ასიგნების ოდენობის ფარგლებშია, კონვერტაციის საგადახდო მოთხოვნა იგზავნება ეროვნულ ბანკში შესასრულებლად. თუ კონვერტაციის მოთხოვნაში დაფიქსირებული ლარის თანხა აღემატება შესაბამისი ვალდებულების ან შესაბამისი ასიგნების ოდენობას, კონვერტაციის მოთხოვნა უბრუნდება ორგანიზაციას შეუსრულებლად. სახელმწიფო ხაზინის მიერ მოთხოვნილი კონვერტაცია ეროვნული ბანკის მიერ სრულდება და ვალუტის თანხა სახელმწიფო ხაზინის მულტისავალუტო ანგრიშზე აისახება მომდევნო სამუშაო დღეს. ორგანიზაცია სავალუტო საგადახდო დავალებას აგზავნის სახელმწიფო ხაზინაში კონვერტაციის მოთხოვნის მომდევნო სამუშაო დღეს. კონვერტაციის მოთხოვნები ორგანიზაციის საკასო ხარჯში აისახება ეროვნული ბანკის მიერ კონვერტაციის შესრულების თარიღით.

4. საქონლის/მომსახურების/სამუშაოს შესყიდვის მიზნით განსახორციელებელ გადახდებზე და მივლინების ხარჯებთან დაკავშირებით განსახორციელებელ გადახდებზე ინფორმაციის დადგენილი ფორმით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სახელმწიფო ხაზინა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი საგადახდო მოთხოვნით გადახდას არ განახორციელებს.“.

10. მე-11 **მუხლი ამოღებულ იქნას**.

11. მე- 12 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 12. **დავალიანების დაფარვა**

ბუღალტრული ანგარიშგების (ბუღალტრული ბალანსის) მონაცემებით რიცხული ვადაგადაცილებული დავალიანების დაფარვა ხდება ორგანიზაციის მიერ ამ ინსტრუქციით აღებული ვალდებულების ფარგლებში დავალიანების დაფარვის გზით. წინა წლის ელექტრონული ხაზინის სისტემაში ორგანიზაციას ვალდებულებების რეგისტრაციის საშუალება ეძლევა ბუღალტრული/ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, მაგრამ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 აპრილისა.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

12. **მე -13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 13. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების გადახდები ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების, ასევე მათ მიერ დაფუძნებული/კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ები და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების ფარგლებში განსახორციელებელი გადახდებისათვის ხელშეკრულებებს, ვალდებულებებს და საგადახდო მოთხოვნებს ორგანიზაცია აგზავნის შესაბამის საფინანსო ორგანოში, რომლის მიერაც ხდება საგადახდო დოკუმენტების განხილვა და გაგზავნა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში გაგზავნა.

მუხლი 2

ამ ბრძანების მოქმედება არ გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №489

2017 წლის 29 დეკემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112; 3.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციის 39^2 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 39^3 მუხლი:

„მუხლი 39^3. ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

1. გადახდის წყაროსთან 15-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება ფიზიკური პირის მიერ:

ა) შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი;

ბ) შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენების მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი.

შენიშვნა: შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართად და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენად (შავი ლითონის წარმოების ნარჩენისა და ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის გარდა) მიიჩნევა ლითონის მეორადი ნედლეული, რომელიც განკუთვნილია საწარმოო გადამუშავებისათვის და რომელიც წარმოიშვება ლითონის წარმოების ან მექანიკური დამუშავების პროცესში, ასევე ლითონის ის ნაკეთობები, რომლებიც გამოუსადეგარია იმ დანიშნულებით გამოსაყენებლად, რისთვისაც ისინი შეიქმნა გატეხვის, გაცვეთის (მათ შორის, მორალური), მექანიკური, ქიმიური დაზიანების ან სხვა მიზეზთა გამო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ამასთან, ამ მუხლის პირველი ნაწილის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტში მითითებული საქონელი არ მოიცავს შავი ლითონის სხმულებს, ზოდებს, ნაგლინს, სხვა პირველადი გადამუშავების ნედლეულს და ნახევარფაბრიკატებს, რომლებიც კლასიფიცირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 7201, 7202, 7203, 7205, 7206, 7207 სასაქონლო პოზიციებში და 7204 50 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადახდის წყაროსთან დაბეგვრის წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნადები გამოწერილი არ არის.

3. ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად დაიბეგრება, ამ პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №487

2017 წლის 29 დეკემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის № 996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112; 3.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. გადასახადის გადამხდელთან ელექტრონული ფორმით კომუნიკაცია წყდება მხოლოდ ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე ამ გადასახადის გადამხდელისათვის ლიკვიდირებული/გარდაცვლილი გადამხდელის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №5

2018 წლის 10 იანვარი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის № 996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112; 3.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციის:

1. 78-ე მუხლის 7^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7^1. ცალკეულ შემთხვევებში შემოსავლების სამსახურთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, 5 ლიტრი და მეტი ტევადობის ლუდის ნაწარმზე, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 100 00, 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებულ საქონელზე სავალდებულო ნიშანდება შესაძლებელია განხორციელდეს ამ მუხლისგან განსხვავებული წესით.“.

2. 79-ე მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

,,7. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 100 00 კოდში მითითებული იმპორტული წარმოების საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება იმპორტული უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის გათვალისწინებული აქციზური მარკის ნომინალური ღირებულების შესაბამისად.“.

3. 79^2 მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

,,7. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 100 00 კოდში მითითებულ საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების ფონური ფერები განისაზღვრება იმპორტული უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად, ხოლო შეფუთვის ფორმები განისაზღვრება იმპორტული უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თანასაკუთრებაში არსებული ფართობის გაქირავება 2526



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„თანასაკუთრებაში არსებული ფართობის გაქირავება“ №2526

სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს თანასაკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართობის გაქირავებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, ფიზიკურმა პირებმა თანასაკუთრებაში არსებული გაუმიჯნავი საცხოვრებელი ფართობი, 2015 წელს გააქირავეს საცხოვრებელი მიზნით.

ორივე ფიზიკური პირი რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად. თითოეულმა მათგანმა დამოუკიდებლად განახორციელა ანგარიშგება და თანასაკუთრებაში არსებული ფართობის გაქირავებით მიღებული შემოსავალი, 2015 წლის დეკლარაციაში, დაბეგრა 5-პროცენტიანი განაკვეთით, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

სსკ-ის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე, იურიდიულ პირზე ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს, 5 პროცენტით იბეგრება.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული ფიზიკური პირები არ ახორციელებდნენ გამოქვითვებს შემოსავლიდან, რომელიც მიიღეს საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად, სსკ-ის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, ამ ფიზიკური პირების მიერ შემოსავლის 5%-ით დაბეგვრა მართლზომიერია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №34444

2017 წლის 19 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2):

ა) „ნაწილი 5. გადასახდელების გაანგარიშების დამხმარე კოდების კლასიფიკატორის“:

ა.ა) „023“ კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„023	საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 კოდში აღნიშნული მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) იმპორტი (დღგ-ისგან გათავისუფლება)“;

ა.ბ) „651“ კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„651	საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 და 8711 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი, რომელიც იბეგრება დღგ-ით“;

ბ) „ნაწილი 10. საქონლის გაფორმებისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საქონელთან დაკავშირებით სხვა საჭირო ინფორმაციის კლასიფიკატორის“ „047“ კოდის გრაფის შემდეგ ჩაემატოს შემდეგი შინაარსის „048“ კოდის გრაფა:

„048	მომსახურების საფასურის დაფარვისათვის წინასწარ გადახდილი თანხის არსებობა“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მამუკა ტერაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ
გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com